- ✓ შევისწავლით აუდიტისთვის შესაბამის შიდა კონტროლის სისტემას რათა დავგეგმოთ აუდიტორული პროცედურები რომლებიც არის შესაფერისი კონკრეტულ გარემოებებთან, მაგრამ არა იმ მიზნით რომ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე გამოვთქვათ მოსაზრება;
- ✓ ვახდენთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასებას, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- ✓ ვახდენთ შეფასებას და გამოგვაქვს დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებაზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი გაურკვევლობა, რაც შეიძლება სერიოზული ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე იმ შემთხვევაში თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- ✓ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. ასევე, ვაფასებთ თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობასა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბებისა და ვადების, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგების, მათ შორის შიდა კონტროლის

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, რომლებიც გამოვლენილ იქნა აუდიტის პროცესში.

„თიჯიეს-კკ ჯგუფის“ სახელით

კონსტანტინე კიკნაძე

SARAS-A-615427

8 სექტემბერი 2018 წელი

შპს „ჯი თი ემ გრუპ“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2016
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	479909	36080
გადახდილი ავანსები		253220	356213
გაცემული მოკლევადიანი სესხები		32250	32250
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	7	8471987	5604586
მისაღები საპროცენტო შემოსავალი		9943	9196
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	7910846	4048640
სხვა მიმდინარე აქტივები		1225	1225
სულ მიმდინარე აქტივები		17159381	10088188
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	20432199	7209096
საგადასახადო აქტივი		2945791	746624
არამატერიალური აქტივები		55713	53713
სხვა გრძელვადიანი აქტივები		358645	5376881
სულ გრძელვადიანი აქტივები		23792348	13386314
სულ აქტივები		40951729	23474502
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები		11143696	11254671
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		3800616	82984
გადასახდელი პროცენტები		3311196	2839893
გადასახდელი ხელფასები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		110621	110383
სულ მიმდინარე ვალდებულებები		18366130	14287931
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		10253164	7231121
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		5922684	5928796
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		16175849	13159917
სულ ვალდებულებები		34541978	27447848

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	1450000	1450000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	-3035632	-5423347
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	7995383	
სულ კაპიტალი	6409751	-3973347
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	40951729	23474501

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი

ავთანდილ კოჩაძე

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქარქაშაძე

შპს „ჯი თი ემ გრუპი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავალი		47583117	56385561
სხვა შემოსავალი		228874	170551
სულ შემოსავალი		47811991	56556113
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	-40004174	-52365903
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	10	-1093448	-830157
მიწოდების ხარჯი		-250602	-235091
ცვეთა და ამორტიზაცია		-1655320	-954781
სხვა საოპერაციო ხარჯი	11	-1074399	-1162942
საოპერაციო მოგება		3734048	1007238
საპროცენტო შემოსავალი		747	4707
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		0	167187
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი	12	-417765	-825970
საპროცენტო ხარჯი		-869975	-804406
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		-59341	-160722
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		2387714	-611965
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
მოგება/(ზარალი)		2387714	-611965
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც არ უნდა იქნას კლასიფიცირებული მოგებაში ან ზარალში მომდევნო პერიოდებში:			
მირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		7995383	0
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		7995383	0
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		10383097	-611965

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი

ავთანდილ კოჩაძე

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქარქაშაძე

შპს „ჯი თი ემ გრუპი“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
დასაბეგრი მოგება	2387714	-611965
კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1655320	954781
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები:		
სასაქონლო-მატერიალური მარაგების (ზრდა)/შემცირება	-3862207	3501945
გადახდილი ავანსებისა და სხვა მიმდინარე აქტივების (ზრდა)/შემცირება	102245	-379914
დებიტორული ანგარიშების ზრდა	-2867401	-4119798
კრედიტორული ანგარიშების და სხვა ვალდებულებების ზრდა	4078198	-5478181
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე	1493870	-6133133
მოგების გადასახადი	0	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1493870	-6133133
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა	-4483737	-3498933
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-4483737	-3498933
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი მოზიდული სახსრებიდან	3015932	8248624
მოზიდული სახსრების დაფარვა		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	3015932	8248624
სავალუტო კურსის ეფექტი	417765	825970
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	443830	-557473
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	36080	593552
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	479909	36080

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი

ავთანდილ კოჩაძე

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქარქაშაძე

შპს „ჯი თი ემ გრუპი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანხები მოცემულია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2016 წელი	1,450,000	(4,811,382)	-	(3,361,382)
წლის სრული შემოსავალი(ზარალი)	-	(611,965)		(611,965)
31 დეკემბერი 2016 წელი	1,450,000	(5,423,347)	-	(3,973,347)
წლის სრული შემოსავალი / (ზარალი)	-	2,387,714	7,995,383	10,383,097
31 დეკემბერი 2017 წელი	1,450,000	(3,035,632)	7,995,383	6,409,751

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი

ავთანდილ კოჩაძე

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქარქაშაძე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი თი ემ გრუპი“ (ს/კ 404882383) დაფუძნდა 2010 წლის 21 დეკემბერს. მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონში, თ.იოსებძის ქ. N 57 ბ. 42. კომპანია ფაქტობრივად საქმიანობას ახორციელებს ზესტაფონის რაიონში, სოფელ არგვეთში და მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფეროსილიკომარგანეცის (MNC17) წარმოება. საწარმოს წილობრივი განაწილება ფინანსური ანგარიშგების შედეგის თარიღისათვის არის შემდეგი:

- 01252004181, ნიკოლოზ ჩუტკერაშვილი 3%
- 21001000228, მერაბი ღიბრაძე 6%
- 21001003059, ავთანდილი კოჩაძე 75%
- 01005002440, თამაზ ჯანგაძე, რუსეთის ფედერაცია , საქართველო 6%
- 01005004911, ამირან ანთაძე 10%

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში-ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული.

საწარმომ ფინანსური ანგარიშგება არ უნდა მოამზადოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე, თუ ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, რომ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განზრახულია საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან არ არსებობს ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა.

აღნიშული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, შეფასებები და ძირითადი დაშვებები ხორციელდება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების

გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა.

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების გადაყვანა სამუშაო ვალუტაში ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსის გამოყენებით ან გადახდის დღისთვის არსებული კურსის გამოყენებით ან გადაფასების დღის კურსით თუ პუნქტი გადაფასებულია. ასეთი ოპერაციებისგან და წლის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაყვანისგან წარმოქმნილი საკურსო სხვაობით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მოგება ზარალის უწყისში.

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც ფლობის ძირითადი მიზანია გაჭრობა, მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში, მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გამოყენება ან გადაცვლა ვალდებულებების დასაფარად თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდგომ. ყველა დანარჩენი არის გრძელვადიანი აქტივი.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში, უნდა მოხდეს დაფარვა ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით

გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს. ყველა დანარჩენი არის გრძელვადიანი ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. თავდაპირველი აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება გადაფასებული ღირებულებით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით.

თუ აქტივის ნარჩენი ღირებულება გაზრდილია გადაფასების შედეგად, ეს ზრდა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და აკუმულირდება კაპიტალში გადაფასების რეზერვის სახელწოდებით. მაგრამ აღნიშნული ზრდა (არაუმეტეს ადრე აღიარებული შემცირებისა) აღიარდება მოგება-ზარალში თუ ამ ზრდამდე ადგილი ჰქონდა შემცირებას (ჩამოფასებას), რაც წინა პერიოდებში აღიარებული იყო მოგება-ზარალში.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში ჩართული გადაფასების ნამეტი შეიძლება გადატანილ იქნეს გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე, როდესაც წყდება აქტივის აღიარება. მან შეიძლება მოიცვას ნამეტის მთლიანი მოცულობა, მოცემული აქტივის გასვლის ან გაყიდვის შემთხვევაში, მაგრამ ზოგჯერ ეს გადატანა ხდება საწარმოს მიერ აქტივის გამოყენების პროცესში. ასეთ შემთხვევაში გადატანილი ნამეტის თანხა იქნება სხვაობა აქტივის გადაფასებული ღირებულებიდან გაანგარიშებულ ცვეთის თანხასა და მისი თავდაპირველი თვითღირებულების მიხედვით გაანგარიშებულ ცვეთის თანხას შორის. გადაფასების ნამეტის თანხის გადატანა გაუნაწილებელი მოგების ანგარიშზე არ აისახება მოგებაში ან ზარალში.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

შენობა-ნაგებობა	5%
მანქანა-დანადგარები	8%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	10%

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომელშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური სასარგებლო მომსახურების ხუთიდან შვიდ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფისკალური წლის ბოლოს. კომპიუტერული პროგრამების მხარდაჭერასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში.

იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას. ახალი სტანდარტი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. ფასს 16 ადგენს მხოლოდ ბალანსზე აღრიცხვის მოდელს, რომელიც შესაფერისია

დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპის. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება. იჯარის გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად. ფასს 16 მოქმედებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ თარიღში. მისი ვადაზე ადრე გამოყენება დაშვებულია, თუ ამავდროულად გამოყენებულ იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს აღნიშნული სტანდარტის ადრე დანერგვას და ამ ეტაპზე აფასებს ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

მარაგები

რეალიზაციისთვის განკუთვნილი საქონელის, ნედლეულისა და ასევე სხვა მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულის თანახმად, მარაგის თითოეული ელემენტის ღირებულება განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში არსებული მარაგის ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საშუალო შეწონილი სიდიდისა და იმ ერთგვაროვანი ელემენტების ღირებულების საფუძველზე, რომლებიც აწარმოვეს ან შეიძინეს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაანგარიშების მეთოდი ეყრდნობა იმ ყველაზე საიმედო მონაცემების გამოყენებას, რომლებიც ხელმისაწვდომია გაანგარიშების ჩატარების პერიოდში მოცემული მარაგის მოსალოდნელი გასაყიდი თანხის შესახებ. ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შეფასებისას მხედველობაში მიიღება ფასების ან ღირებულების მოსალოდნელი ცვლილებები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული იმ სამეურნეო მოვლენებთან, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, რადგან ეს მოვლენები ადასტურებს საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის არსებულ პირობებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ასევე, გადამუშავების დანახარჯებს. მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, მაგალითად, პირდაპირი შრომითი დანახარჯები. ისინი მოიცავს აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ

ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება მარაგის გადამუშავების დანახარჯებზე ხდება საშუალო საწარმოო სიმძლავრის მიხედვით. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯების განაწილება პროდუქციის ერთეულზე ხდება საწარმოო სიმძლავრეების ფაქტობრივი გამოყენების მიხედვით. სხვა დანახარჯები მარაგის თვითღირებულებაში ჩაირთვება მხოლოდ იმ ოდენობით, რამდენადაც იგი დაკავშირებულია მარაგის მოცემულ ადგილამდე მიტანასა და მოცემულ მდგომარეობაში მოყვანასთან. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მიზანშეწონილი იყოს არასაწარმოო ზედნადები ხარჯების ან ზოგიერთი დამკვეთის პროდუქციის დაპროექტების დანახარჯების ჩართვა მარაგის თვითღირებულებაში.

ხარჯად აღიარება

როცა მარაგები გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი შემცირება ჩამოწერაში აღიარდება იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა შემცირება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვთ ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

კომპანიის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში ნაღდი ფულის ნაშთს და კომპანიის მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთს. როგორც წესი კომპანიის მიერ მიღებული ნაღდი ფული, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად გადაირიცხება კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება, აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებადი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

კრედიტორები საწარმოსთვის ვალდებულებებს წარმოადგენენ ყოველდღიური საქმიანობის პირობებში. კრედიტორები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება თუ მისი დაფარვა მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. თუ დაფარვა მოსალოდნელია უფრო ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, მაშინ კრედიტორი წარმოადგენს გრძელვადიან ვალდებულებას. კრედიტორების საწყისი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისა და მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება. ამონაგები წარმოდგენილია დამატებითი ღირებულების გადასახადის, საქონლის დაბრუნებების და ფასდათმობების დანახარჯების გამოკლებით. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა და მოსალოდნელი, რომ საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან

წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა ოდენობის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აღიარებული ოდენობების გაქვითვის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება და ურთიერთგაქვითვის განზრახვა ან თანადროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს: ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში,

დეფოლტის შემთხვევაში და კომპანიის და ყველა კონტრაგენტის გაკოტრების შემთხვევაში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით.

დივიდენდების განაწილება

კომპანიის წილის მფლობელებისთვის დივიდენდების განაწილების აღიარება ფინანსურ ანგარიშგებაში ხდება ვალდებულების სახით, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდების განაწილებას დაამტკიცებს პარტნიორთა კრება.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული და დებიტორული ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად აღისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდისთვის, რათა მიიღოს ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვლილება 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის:

	მიწის ღირებულება	შენობა- ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ
თვითღირებულება							
1 იანვარი 2016	435647	2118330	3915496	144907	32395	1551052	8197827
გასვლა						-196314	-196314
დამატება		328269	1375767	14902	10908	619527	2349373
31 დეკემბერი 2016	435647	2446599	5291263	159809	43302	1974265	10350885
გასვლა		-32190				-56069	-88259
დამატება		2355696	4314903	13717	110	262861	6947286
გადაფასება (31.12.2017)	15358	554487	2507006			256087	3332938
31 დეკემბერი 2017	451005	5324592	12113172	173526	43412	2437144	20542851
დარიცხული ცვეთა							
1 იანვარი 2016		397676	1416011	55415	19201	303154	2191457
დარიცხული ცვეთა		95626	539431	30063	6698	282962	954780
გასვლა						-4449	-4449
31 დეკემბერი 2016		493303	1955443	85478	25899	581667	3141789
დარიცხული ცვეთა		197802	1198715	35994	4239	220653	1657404
გასვლა						-26096	-26096
გადაფასება (31.12.2017)		-691105	-3154157	-40089	-870	-776224	-4662445
31 დეკემბერი 2017		0	0	81383	29269	0	110652
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი, 2016	435647	1953296	3335820	74331	17403	1392599	7209096
31 დეკემბერი, 2017	451005	5324591	12113172	92143	14144	2437144	20432199

6. მარაგები

მარაგები 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
ნედლეული და მასალები	3100023.6	1630767.1
მზა პროდუქცია	3937098.41	2222790.3
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	873724	195082
სულ	7910846.4	4048639.6

7. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	8386957.51	5524556.3
მოთხოვნები საწარმოს პერსონლის მიმართ	5220	220
მოთხოვნები პარტნიორების მიმართ	79810	79810
სულ	8471987.19	5604586

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2017	2016
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	128009	3984
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	351900	32095
სულ	479909	36080

9. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2017	2016
მირითადი მასალის დანახარჯები	37124234	51151741
ელ.ენერგიის ხარჯი	374257	241081
ხელფასის ხარჯი	1098560	819612
სხვა საოპერაციო ხარჯები	1407123	153470
სულ	40004174	52365903

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	873767	653900
თანამშრომელთა სხვა სარგებელი	219681	176256
სულ	1093448	830157

11. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2017	2016
იჯარის ხარჯი	65939	67006
კომუნიკაციის ხარჯები	26662	16249
დაზღვევა	187570	167689
რემონტი	322062	272747
საკონსულტაციო ხარჯები	14631	27024
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	457535	612228
სულ	1074399	1162942

12. კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/ზარალი

	2017	2016
დადებითი საკურსო სხვაობა	1098931	335842
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-1513284	-1161812
ზარალი	-414353	-825970

13. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

საწარმომ არ უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.

თუ საწარმო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ინფორმაციას იღებს საანგარიშგებო პერიოდისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ, მან ახალი ინფორმაციის საფუძველზე უნდა განაახლოს განმარტებითი შენიშვნა, რომელიც ამ პირობებს ეხება.

თუ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები იმდენად არსებითი იქნებოდა, რომ ზეგავლენას მოახდენდა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ სათანადო შეფასებების გაკეთებისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობაზე, საწარმომ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენების თითოეული მნიშვნელოვანი კატეგორიისათვის უნდა გაამჟღავნოს შემდეგი ინფორმაცია: მოვლენის ხასიათი და მისი ფინანსური ეფექტის წინასწარი შეფასება, ან განცხადება, რომ ასეთი წინასწარი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

არ აღმოჩენილა არანაირი შემდგომი მოვლენები, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ და უმაღლესი ხელმძღვანელობა.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რისი უფლებაც დაუკავშირებელ მხარეებს არ აქვთ. ხოლო ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებს შორის შეიძლება ხორციელდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებისგან განსხვავებული პირობებით.

მხარეებს შორის შეიძლება ხორციელდებოდეს დაუკავშირებელ მხარეებს შორის მიმდინარე ტრანზაქციებისგან განსხვავებული პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.


15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 1 ივნისს.

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი
ავთანდილ კოჩაძე



მთავარი ბუღალტერი
ვანო ქარქაშაძე



დაკავშირებულ მხარეებთან არსებული თითოეული ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განუხორციელებია.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2018 წლის 1 ივნისს.

შპს „ჯი თი ემ გრუპის“ დირექტორი

ავთანდილ კოჩაძე

მთავარი ბუღალტერი

ვანო ქარქაშაძე